ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი №17

ქ. ახმეტა 4 დეკემბერი, 2019 წელი

თავმჯდომარეობდა: თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდა: რ.ბაღაკაშვილი, ბ.ჭიჭიკლიშვილი, ა.ბუღრიძე ა.შათირიშვილი, დ.იმერლიშვილი, ლ.ითიურიძე გ.ხადიშვილი, ა.მექვევრიშვილი, მ.კოხტაშვილი შ.ტერტერაშვილი, ნ.ალავიძე, თ.ბოდაველი თ.მგელიაშვილი, ა.მექვევრიშვილი, გ.ხუცურაული ვ.სუხოშვილი,თ.წითელაური, ი.მრელაშვილი, ა.ხიზანაიძე,ლ.უძილაური,გ.მაისურაძე ვ.დედაბრიშვილი, დ.ავაზაშვილი,დ.ახალკაციშვილი ლ.გოგოთიძე, რ.ალხანაშვილი, თ.მოზაიძე; მერის მოადგილე-ზაზა მიგრიაული;

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2019 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხსენებელი - ზაზა მიგრიაული/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში მდებარე უძრავი ქონების, ყოფილი მეთესლეობის ინსპექციის შენობისა და მასზე დამაგრებული 777.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/ მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 10.4 კვ.მ საიჯარო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

/ მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქ N50-ში მდებარე შენობის II-ე სართულზე 40.2კვ.მ ფართის ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/ მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2019 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს: განსაკუთრებით ხშირია მომართვიანობა სოციალურად დაუცველი ოჯახებისგან, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 80 000-მდე (ქულის მინიჭების თარიღიდან გასული უნდა იყოს არაუმეტეს ერთი წელი); მრავალშვილიანი ოჯახებისგან, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი და არ იღებენ ,,დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის იმავე მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ ფულად დახმარებას, აგრეთვე, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები. იმის გამო, რომ პროგრამით სარგებლობის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად დადგენილია სარეიტინგო ქულის მინიჭების თარიღიდან ერთწლიანი პერიოდი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სარეიტინგო

ქულის 1 წელში ხელმეორედ დათვლის მოლოდინში კარგავს ბენეფიტით სარგებლობის შესაძლებლობას ან თავს იკავებს ხელმეორედ დათვლისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მეტი, შესაბამისი საჭიროების მქონე მოქალაქეებს მივცეთ სოციალური პროგრამით სარგებლობის საშუალება.

(განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს).
შ.ტერტერაშვილი: არ ვეთანხმები თქვენს მოსაზრებას ელექტროენერგიის გადასახადის თანადაფინანსებაზე 100 ,ოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენ ვართმევთ მათ უფლებას საკუთარი საჭიროების მიხედვით განსაზღვრონ აღნიშნული თანხის გახარჯვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

სხდომას ესწრება საკრებულოს 28 წევრი.

24 - მომხრე;
2 - წინააღმდეგი;
2 - არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა;

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №17 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2019 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<u>მოისმინეს:</u> **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში მდებარე უძრავი ქონების, ყოფილი მეთესლეობის ინსპექციის შენობისა და მასზე დამაგრებული 777.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: ქალაქ ახმეტაში მდებარე უძრავი ქონების, ყოფილი მეთესლეობის ინსპექციის შენობისა და მასზე დამაგრებული 777.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ, სადაც მოეწყობა საზოგადოებრივი ცენტრი ღია სახლის ფუნქციონირების მიზნით. სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასურია 2471.0 (ორიათას ოთხას სამოცდათერთმეტი) ლარი. სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა-10 წელი.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუროს გადაწყვეტილების თანახმად, ფონდმა წარმოადგინა შეცვლილი, გაზრდილი ხარჯთაღრიცხვა. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შენობის რეაბილიტაციაზე განხორციელდება 128500 (ასოცდარვაათას ხუთასი) ლარის ინვესტიცია. შესაბამისად, კომისიის სახელით ვიძლევი რეკომენდაციას, საკითხი გადაწყდეს დადებითად.

განმცხადებელმა თამარ ბექაურმა გააცნო საკრებულოს წევრებს განსახორციელებელი იდეის შესახებ: ობიექტი გამოყენებულ იქნება საზოგადოებრივი საგანმანათლებლო ცენტრი ღია სახლის ფუნქციონირებისათვის. იქნება პროფესიული კურსები, დასაქმდებიან პედაგოგები და სხვა პროფესიის ადამიანები, მოხდება სტუდენტების მომზადება 4 ძირითად საგანში, მოეწყობა ტურიზმის ცენტრი და სხვა. ორგანიზაციებს შეხვედრების და სხვადასხვა ღონისძიებების მოსაწყობად უფასოდ დაეთმობათ დარბაზი .

შ.ტერტერაშვილმა შემოიტანა წინადადება: განკარგულების სათაურიდან ამოვიდეს შენობის დასახელება, რასაც საკრებულო დაეთანხმა.
განკარგულების პროექტის სათაური და ტექსტი ჩასწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რასაც საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №46 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების, შენობისა და მასზე დამაგრებული 777.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (ს.კ.50.04.42.086), ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მოისმინეს: **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 10.4 კვ.მ საიჯარო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს. ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 10.4კვ.მ საიჯარო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის შესახებ. აღნიშნულ ფართზე არსებობდა ხელშეკრულება, რომელსაც გაუვიდა ვადა და ხელახლა ხდება მისი გატანა აუქციონზე. საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასური შეადგენს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით-197.0 (ასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარს, სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა არის 5 წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

სხდომას ესწრება საკრებულოს 28 წევრი.

27 - მომხრე;

1 - კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო;

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №47 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 10.4 კვ.მ საიჯარო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქ N50-ში მდებარე შენობის II-ე სართულზე 40.2კვ.მ ფართის ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო საკითხი საკრებულოს წევრებს: აღნიშნული ფართი მოიცავს 3 ოთახს. სარგებლობისათვის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით, გადავცემთ საბავშვო ბაღების ცენტრს.

შ.ტერტერაშვილი: ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი“-ს მუშაობაში მე ვხედავ უარყოფით ტენდენციას: ცენტრი ამცირებს საბავშვო ბაღებს და ადმინისტრაციას უზრდის ფართს.

სხდომას ესწრება საკრებულოს 28 წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

24 - მომხრე;

4 - წინააღმდეგი;

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №48 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქ N50-ში მდებარე შენობის II-ე სართულზე 40.2კვ.მ ფართის ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

სხვა კითხვები და წინადადებები არ ყოფილა.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12[30] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თ.ყეინიშვილი